ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 1 სექტემბერი **№ 1569**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
პ. მ. ელიოზიშვილი
ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

სასწავლებელი და პანსიონი
ა. გ. მირზაშვილისა
ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.
ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის აქვე ამზადებენ უმაწვილებს ზემდემერის და იუნკრის სკოლებისთვისაც. (16—9)

რუსი მასწავლებელი ქალი, რომელსაც გათავებული აქვს, პეტერბურგის საპედაგოგიო კურსები, **ეძებს გაკვეთილებს.** ადრესი: ანდრიევის ქუჩა, სახლი № 23 სადგური ლასკოშვილისა И. П. К.

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

კავკასიის გრენადერთა პოლკის შტაბს-კაპიტანს თავ. აბხაზს ებოძა კაპიტნობა.

პოდპორუჩიკს ბახუტაშვილს ებოძა პორუჩიკობა, ხოლო პორუჩიკს ძნელაძეს—შტაბს კაპიტნობა.

შავიზღვის პირის მე-149 პოლკის პოდპოლკოვნიკს მიხეილ ჯაყელსა და ამიერ კავკასიის პოლიციის დარაჯთა აფიცერს განჯის გუბერნიაში მიხეილ ავალიანს ებოძათ წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენი, მე-61 ვლადიმირის პოლკის კაპიტანს ალექსანდრე ჯაფარიძეს ებოძა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი.

მე-38 ვლადიმირის პოლკის კაპიტანს იესე ნაცვლიშვილს ებოძა წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი, ხოლო თურქესტანის მეორე სათადარიგო არტილერიის ბრიგადიის კაპიტანს ალექსანდრე ყარანგოზიშვილს ებოძა წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენი და კასპიის იქით მხრის მეორე ბატალიონის პორუჩიკს თეოფანე მანველიძეს—წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენი.

კავკასიის მსროლელთა მე-5 ბატალიონის უმცროს ექიმს ტიტულიარნი სოვეტნიკს ახველდიანს ებოძა კოლეჟსკი ასსესორობა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

30 აგვისტო

პეტერბურგი. დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძე 29 აგვისტოს ვარშავის რკინის-გზით წავიდა აქედან.

დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე 29 აგვისტოს მოსკოვში წავიდა.

ნიუ-იორკი. ვილმსტიდან ცნობა მოვიდა, საფრანგეთის გემი „სუშე“ კოლუმბის ნავთ-სადგურ ბარაუკვილიდან დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, რომ ლაგაჩს ახლო 27 აგვისტოს ათასი კოლუმბიელი ჯარის კაცი ხმელეთზე გადაიყვანეს. ვენეცუელის ოთხი გემი ლაგაჩის პირდაპირ დგანანო. კოლუმბიის ჯარები ელიან, რომ მოწინააღმდეგეები თავს დაგვესხმიანო. შემდეგ ამბობენ, ვენეცუელის ათასი ჯარის კაცი დავილის უფროსობით 22 აგვისტოს 4 გემით მარაკილბოდან გავიდნენ და ლაგაჩის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე მილის მანძილზე ხმელეთზე გადავიდნენო. ამას გარდა კიდევ 500 ვენეციელი და კოლუმბიელი ლიბერალი მარაკილბედან გავიდა და ხმელეთით ლაგაჩისკენ გაემართაო. ჰფიქრობენ, ეს რაზმი ეხლა კიდეც მივიდოდა დანიშნულ ადგილსაო.

კილი. რუსეთის ხელმწიფე-დედოფალი პრინცესსა ირენათი დილით პრინც ჰენრიხის მამულ ჰემელპარკში წავიდა.

ბუფალო. დილის 6 საათზე შემდეგი ბიულეტენი გამოიცა; „პრეზიდენტმა ღამე კარგად გაატარა. მაჯა—122, ტემპერატურა—100.“

დანციგი. იმპერატორი ვილჰელმი გემი „ჰოჰენცოლერნით“, რუსეთის იმპერატორის მისაგებებლად წავიდა. ვილჰელმის გემს ახლდა ჯავშნიანი გემი „ნიოშკია“ და ერთი ტორპედიანი ნავი. რუსეთის იმპერატორი გემი „შტანდარტით“ მიდიოდა, თან ახლდა ჯავშნიანი გემი „ვარიაგიც“. ნაშუადღევის 3 საათ. 30 წამ. იმპერატორების გემები გამოჩნდნენ: ჰოჰენცოლერნი“ წინ მიდიოდა. მთელი ფლოტი ბაირაღებით იყო მორთული. 3 საათ. 45 წამ. სამხედრო სალამის ნიშნად ზარბაზნები დასცალეს. მათ უდიდებულესობათ ესკადრის წინ გაიარეს. მშვენიერი ამინდი იდგა და ბევრი კერძო გემიც, ბაირაღებით მორთული, ზღვაში გამოვიდა.

დანციგი. დღეს, დილის 8 საათზე, ესკადრამ დიდი ალლუმი გამართა: დანციგის ნავთსადგურის ნაპირზე იერიში მიიტანა. ამ ნავთსადგურს ბატარეიები და ჯავშნიანი გემების დივიზია იცავდნენ. იმპერატორი ვილჰელმი და რუსეთის იმპერატორი ალლუმის დროს გემ „ვილჰელმ“-ზე იმყოფებოდნენ. მშვენიერი ამინდია. ალლუმი საინტერესო და ლამაზი სანახავი იყო. ნაშუადღევის 2 საათზე ბრძოლა ჯერ კიდევ გათავებული არ იყო.

ხარკოვი. გენერალმა დრაგომიროვმა ნება დართო, რომ 17 სექტემბერს აქ სამხედრო სასამართლომ 13 კაცის საქმე გაარჩიოს. ამ კაცებს მკვლელობისა, ყაჩაღობისა და ქურდობისათვის საზოგადოება შეედგინათ და ამიტომ სამხედრო სასამართლოში არიან მიცემულნი.

ნოვოჩერკასკი. კარგი წვიმა მოვიდა. ყველგან ანეულებს სთესენ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. ყველა ქვეყნებიდან, ყველა მხრიდან დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ქ.-ნ. მაკ-კინლეის და საზოგადოთ ამერიკელებს და ამასთანავე აცხადებენ სურვილს, რომ პრეზიდენტი მშვიდობიანად გადარჩესო.

ფელეტონი

პედაგოგიური დაკვირვებანი შვეიცარიაში *)

ბირმენდორფის (Birmendorf-ის) სკოლა

20 ივლისი (2 აგ.) ხუთშაბათი.

მე და pfarrer-ი (მღვდელი) მაშინ მივედით ამ სკოლაში, როცა მეცადინეობა უკვე დაწყებული იყო. ეს სოფელი დიდი სოფელია და სასწავლებელიც მოსწავლეებით მრავალ-რიცხოვანი. მასწავლებელიც (მღვდლის გარდა, რომელიც, როგორც მასწავლებელი, დიდ როლს არ თამაშობს სკოლის საქმეში, ხოლო როგორც წევრი სკოლის სამზრუნველოსი, სადაც ამორჩეულია კი), ორია და სწავლაც ორ ოთახში სწარმოებს... კარების დაკაკუნებისათანავე გამოვიდა მასწავლებელი, ხანში შესული კაცი, მელოტი, ჩასუქებული. მისვლის მიზეზის მოხსენების შემდეგ შემიპატიჟა კლასში. სკამი მომაწოდა. ცოტა ხნის შემდეგ კლასებში (=განყოფილებებში) გავიარე.

კლასში სულ 50 მეტი მოსწავლენი იყვნენ, ქალები და ვაჟები. უკანასკნელთაგან ბევრნი ქილეტის და ზოგიც პერანგის ამარანი არიან. ქალებიც აქ ბევრნი ფეხშიშველანია, მაგრამ, საზოგადოდ, ტანისა და საცვლის სიფაქიზე გაცილებით მეტი ეტყობათ, ვინემ ჩვენი სოფლის სკოლების მოსწავლეთ.

მეხუთე კლასთან სიტყვიერი მეცადინეობა გაეთავებია მასწავლებელს და საწერი ასახსნელები მისცა რვეულებში გასაკეთებლად. დაიწყო მეექვსეღებთან მეცადინეობა. აქაც თვლა (არითმეტ.) იყო, ნაწევრებზე და პროცენტებზე. ყველას გაშლილი ჰქონდა სახელმძღვანელო წიგნები (ასახსნელებთა კრებული) მოყვანილი ასახსნელები, რამდენადაც გავეცანით, რთულნი არ არიან, მაგრამ მეტად პრაქტიკული შინაარსიანი. წააკითხვინებდა ასახსნელს (მჯდ.), გაკეთების წესს იქვე ათქმევინებდა. მერე წიგნით ხელში კლასის დაფაზე გაჰყავდა და გამოაყვანიებ და წერილობით. ამავე დროს თვითონ იმავე ასახსნელს მთელ კლასთან, რუფრო სუსტებთან იმეორებდა და ასე მიყოლებით. მეც წიგნი მომაწოდა მასწავლებელმა. როცა გაკვეთილი გათავდა, მასწავლებელმა მითხრა: ახლა შესვენება, „პაუზა“ არისო და თავის ოთახში შემიპატიჟა. ღვინო მოატანინა. თითო ოროლი ჭიქა დავლიეთ .. საქართველოში ლამაზი ქალები და კაცები არიან (საზღვარგარეთელის წერილები გამახსენდა), ჩვენი შვეიცარია რო ,ორ მოგეწონათო. ჩინებულათ მეთქი .. აქ თითოეულ მასწავლებელს ეძლეოდა ჯამაგირი 1500 (15 ასი) ფრანკი და ასი ფრანკიც შეშისა. როგორც ყოველი primärschule,—ეს სასწავლებელიც რვა კლასიანია.

შემდეგ გაკვეთილზე მე დაბლა, მეორე მასწავლებელთან შესვლა ვარჩიე. ამას ოთხი უმცროსი განყოფილება (კლასი) აბარია. სულ 96 ბავშვია ამ კლასში, მაგრამ ესენი ძალიან იშვიათად შეიყრებიან ერთად. მე რომ შევედი, მაშინ ორი კლასი იყო: მეოთხე და მეორე. მეოთხე კლასიანებს ენიდან ჰქონდათ გაკვეთილი. სახელმძღვანელო წიგნში, რომელიც მაშინვე მეც ცალკე შემომთავაზა მასწავლებელმა, მოყვანილი იყო სიტყვები, მაგ., ლაპარაკი, სიარული, წვიმა, სიცოცხლე და სხ. ამ სიტყვებზე, წააკითხვინა რა ესენი წიგნში, სიტყვიერად შეადგენია წინადადებები, შემდეგ ამ შედგენილ წინადადებათა წერა მისცა რვეულებში და თვითონ მეორეზე გადავიდა. სახელმძღვანელო წიგნში მეტის მეტად დიდის და მსხვილის ასოებით (საზოგადოდ ასეა ყველგან, სადაც ერთგვარი საგნებია ჩამოთვლილი) ჩამოთვლილია ნათესავები, შემდეგ ჩვეულებრივი საყმაწვილო წიგნის შრიფტით—თვისებები (ზედშესრული სახელები): კარგი, მოსიყვარულე, ახალგაზდა, მოხუცი, ძლიერი, სუსტი, ჯანმრთელი, ავადმყოფი, მხიარული, შრომის-მოყვარე და სხ. იქვე მოყვანილია მოქმედებანი (ზმნები): კერვა, ქარგვა, დართვა, ქსოვა, მუშაობა, მიცემა, შეყვარება, ლაპარაკი, ტირილი, სიცილი, ხუმრობა, თამაშობა, დაძინება და სხ. ამ თვისებათა და მოქმედებათა აღმნიშვნელ სიტყვების მეოხებით სიტყვიერად შეადგენია ჯერ წინადადებები ნათესავებზე და შემდეგ ესვე სამუშაო მისცა საწერად რვეულებში. ამ დროს პირველი კლასი, ექვსის წლის ბავშვები, ერთის ამბით შემოვიდნენ კლასში. მასწავლებელმა წეს-რიგში მოიყვანა. საკლასო დაფა ამათი ცოტა მაღლა ეკიდა მასწავლებელი იქვე მიდგმულ კიბეზე ავიდა, და იქიდან დასწერა: er, or, är, am, is... ჯერ ათქმევინებდა ერთად მთელს მარცვალს, მერე ცალ-ცალკე თითოეულს ბგერას: er—e—r; or=o—r. გაამეორებინებდა მთელს კლასს ერთად, მაგრამ აქაც მარტო თითოჯერ, და არა თუთიყუშივით მრავალ-გზის. ერთხელაც არ გამიგონია, როგორც ზევით შევნიშნე, ორჯერ მეტად (საზოგადოდ მარტო თითოჯერ) ეთქმევინებიოს მასწავლებელს მოსწავლეებისათვის რამე ფრაზა, სიტყვა, მარცვალი ან ბგერა. ამ გვარ მეცადინეობით ეს გაკვეთილი გათავდა იმ დროს, როცა ჯერ ზევით ოთახში, სადაც პირველად შევედი, მეცადინეობა შეწყვეტილი არ იყო და ამიტომ ისევ იქითკენ გავეშურე.

ამ საკლასო ოთახში კი ახლა სამი კლასი იყო: მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე. **მეხუთე კლასი** წიგნიდან რვეულებში რა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1567.

მთელი ქვეყნიერობა თვალ ყურს ადევნებს და მოუთმენლად ელის ამერიკიდან მოსულ დეპეშებს პრეზიდენტის ჯანმრთელობის თაობაზედ.

«რუსსკია ვედომოსტი»-ს სწერენ:

ინგლისელი ტრედ-უნიონისტის კონგრესზე სვანზიაში თავმჯდომარემ გამოუცხადა დელეგატებს მაკ-კინლეი დასჭრესო და დაუმატა, ინგლისის შეგნებული მუშები დიდს თანაგრძნობას უცხადებენ ამერიკის ერს და დიდად სწუხან, რომ თავისუფალი ერის წარმომადგენელს ესეთი უბედურება შეემთხვაო. ამ დროს დელეგატები ზეზე წამოდგნენ და კონგრესმა თანაგრძნობის ადრესი შეადგინა და ამერიკაში გაგზავნა».

✡ გაზ. «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან: «25 აგვისტოს, ღამის 10 საათზე ამბავი მოვიდა, მაკ-კინლეი დასჭრესო. ლონდონში მცხოვრებ ამერიკელებს დიდად ეწყინა ეს ამბავი. ბირჟას ხომ ნამდვილად შიშის ზარი დაეცა. ეშინიანთ, ვაი თუ ამერიკის ქაღალდებს ფასი დააკლდეს, თუ ვინიცობაა, პრეზიდენტი გარდაიცვალაო. მაკ-კინლეი დიდ ფინანსისტებს უწყობდა ხელსა, სინდიკატებს ემხრობოდა, თავის პოლიტიკის საგნად ამერიკის ფინანსიური გამარჯვება მიაჩნდა. მაკ-კინლეის პოლიტიკას უმთავრესად ბირჟის მოღვაწეები აძლევდნენ მხარს.»

თუ ვინიცობაა, მაკ-კინლეი გარდაიცვალა, მის მოადგილედ ვიცე-პრეზიდენტი რუზველტი იქნება. ამბობენ, ვითომ რუზველტი სულ სხვა აზრის კაციაო.

ნიუ-იორკიდან იწერებიან: პრეზიდენტის დაჭრის ამბავმა სწორედ რომ შიშის ზარი დასცა ბირჟას.

ლონდონის გაზეთები დიდ თანაგრძნობას უცხადებენ პრეზიდენტს.

ინგლისის ყოველმა დაწესებულებამ, სამინისტრომ, ბანკებმა, მოვაჭრეებმა,—ყველამ დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადეს მაკ-კინლეის. შეერთებული შტატების სელჩოში დღეს 5000 მეტი კაცი მოვიდა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. ინგლისელები თითქო ერთმანერთს ეჯიბრებიან, ყველანი დიდს თანაგრძნობას უცხადებენ თავიანთ ძმა ამერიკელებსა.

✡ გუშინაც მოვიხსენიეთ, რომ მაკ-კინლეის ბუფალოში საყურადღებო სიტყვა წარმოუთქვამს. ეხლა გაზეთებში უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული ეს სიტყვა. მაკ-კინლეის თავდაპირველად ეთქვა, შეერთებული შტატების მრეწველობა უმაგალითოდ განვითარდაო. შემდეგ განაგრძო: «ჩვენი მრეწველობის ძალა ისე საოცრად განვითარდა, ჩვენი ნაწარმოები ისე გამრავლდა, რომ ახალი ბაზრების დაჭერა, შოვნა ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. თავის დღეში არ უნდა ვიფიქროთ, ვითომც ჩვენ მარტო სხვაზე უნდა ვყიდდეთ, და სხვისაგან კი ცოტას ან არა და სულ არას არ უნდა ვყიდულობდეთ არა, ჩვენი მუშტრებისაგანაც ისეთი ნაწარმოები და საქონელი უნდა ვიყიდოთ ხოლმე, რაც ჩვენთვის საჭიროა, ისე კი, რომ ამით ჩვენ საკუთარ მრეწველობასა და შრომასაც ზიანი არ მოუტანოთ. ჩვენმა მრეწველობამ ისეთ გასაოცარ განვითარებამდე მიაღწია, რომ ჩვენი ქვეყანა მთელ ჩვენ ნაწარმოებს თითონ ვერ მოიხმარებს; რაც ჩვენ თითონ არა გვჭირდება და გვეჭარბება, საზღვარ გარეთ უნდა გავგზავნოთ. განმარტოებით ყოფნა ხელს აღარ მოგვცემს. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ვაჭრობა გავაფართოვოთ და გავავრცელოთ. ჩვენი სავაჭრო ფლოტი საკმაო არაა. შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაპირიდან სამხრეთ-აფრიკამდე ჩვენი გემების პირდაპირი მიმოსვლა უნდა დავაწესოთ. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, ისეთ ბაზრებში და ადგილებშიაც დადიოდნენ ჩვენი გემები, სადაც აქამდე ათასში ერთხელ თუ გაივლიდენ ხოლმე. ჩვენ სავაჭრო ფლოტს ხელი შევუწყოთ. საჭიროა მეტი გემები ვიქონიოთ ამერიკის ბაირაღ ქვეშ—ეს გემები ამერიკელებს უნდა ეკუთვნოდეს, ამერიკელების აგებული უნდა იყვეს და ზედ მეზღვაურებად ამერიკელები მსახურობდნენ. ამერიკის ყელზე უსათუოდ არხი უნდა გავსჭრათ. დიდ ოკეანეში უსათუოდ საკუთარი ტელეგრაფის მავთული უნდა გავაბათ—ეს აუცილებელი საჭიროებაა ჩვენთვის, ამის დაგვიანება აღარ შეიძლება.

✡ ვოლფის სააგენტო იუწყება: მაკ-კინლეის დამჭრელი ჩოგლოსი ხელობით მჭედელია; პოლონეთიდან გადმოსული კი არაა, როგორც გაზეთები იუწყებოდნენ წინად, ამერიკაშია დაბადებული და გაზრდილი. მიჩიგანის შტატის მოქალაქეა. საზოგადოდ ჩოგლოსის შესახებ ნამდვილი ცნობები ბევრი არ შეკრებილა, ამბობენ, ვითომ გულ-ყრა სჭირსო.

დანია. გაზ. «მატენა»-ში დანიის მეფე ქრისტიან IX ცხოვრებაა აწერილი. გაზეთი საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს ამ მეფის ცხოვრებიდან:

«მეფე ხშირად მარტოდ-მარტო დასეირნობს ხოლმე ქალაქში. ერთხელ დაინახა, რომ დიდ მოედანზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მივიდა ახლო და დაინახა, რომ გაფიცულ მუშების კრება იყო. დიდებული სტუმარი მაშინვე იცნეს, მაგრამ მეფემ მოითხოვა, კრება განაგრძეთო. კამათი ხელმეორედ დაიწყეს. ლაპარაკი იმაზე ჰქონდათ: შეუძლიანთ პატრონებს სამუშაო ქირა მოგვიმატონ, თუ არაო. მუშები ამტკიცებდნენ, შეუძლიანთო. მეფე თითონაც გაერია ლაპარაკში და ამტკიცებდა: არა, არ შეუძლიანთო. მუშებიც და მეფეც თან და თან ცხარდებოდნენ. ბოლოს და ბოლოს კრებამ დაადგინა: გაფიცვა განვაგრძოთო. კრების დადგენილობა ამნაირი სიტყვით იწყებოდა: «მუშები მადლობას უხდიან მეფეს უანგარო და ჭკვიანური დარიგებისათვის და სხვა და სხვა.

მეფეც და ერიც ორივე ბედნიერი ყოფილა დანიაშიო,—ამბობს ერთი რუსული გაზეთი.

ფილიპპის კუნძულები. ქალ. მანილის მცხოვრებლებს შეერთებული შტატების პრეზიდენტი მაკ-კინლეისათვის ამას წინად ქაღალდი წარუდგენიათ და უთხოვნიათ: ბოლო მოუღე იმ უდიერ და ბოროტ წესებს, ამერიკელებმა რომ ჩვენ კუნძულზე დაადგინესო. მთხოვნელები ამბობენ:

«წარსული წლის 1 ენკენისთვეს აქეთ 79 კაცი სიკვდილით დასაჯეს, 89 სამუდამოდ დაკარგეს და 75 კაცი ციხეში ჩასვეს 10-20 წლის ვადით. წარსულ წლის პირველ ენკენისთვემდე კი სულ 7 კაცი იყო სიკვდილით დასჯილი; ეს ახალი უღვთო წესები სულ გენერალმა მაკ-არტურმა და უფრო მისმა გულ-მოდგინე ხელ-ქვეითებმა შემოიღესო. 1 ივლისს აქეთ ხომ ყოველ-დღე ვინმე სიკვდილით ისჯება. რაღა თქმა უნდა, ესეთი უდიერობა და ესეთი უღვთობა ძლიერ აბოროტებს ხალხსაო»

კოლუმბია და ვენეცუელა. როგორც ვიცით, ამ პატარა რესპუბლიკებს ლამის ომი აუტყდეთ ერთმანერთთან. იქნება შეერთებული შტატებიც გაერივნენ ამათ საქმეში. ამიტომ მეტი არ იქნება ამ რესპუბლიკების მდგომარეობაც გავიცნოთ. გაზ. «ტანი»-ი ასე ასურათებს მათ ფინანსიურ მდგომარეობას:

«მთავრობა ყოველ ნაირის საშუალებით შოვობს ფულსა. ხშირად მდიდარ კაცებს ძალათ გამოართმევენ ხოლმე სესხად. კოლუმბიამ დიდძალი ქაღალდის ფული გამოსცა, ამიტომ აქაური პიასტრი თავისი ჩვეულებრივი ფასის მეორმოცედი ნაწილი ძლივსღა ჰღირს. უცხოეთში გასატან საქონელს დიდი ბაჟები დაადვეს და თანაც ამ ბაჟს მარტო ოქროთი დებულობენ. ყველას ათასნაირი შეღავათი და მონოპოლია აქვს მიცემული; აღებ-მიცემობას ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. პანამის გუბერნატორმა შეძლებული ხალხი დაიბარა თავის სახლში, კარებთან დარაჯები დააყენა და სანამ დიდი ქრთამი არ მისცეს, არ გაუშვა. კარაკასისა და ბოგოტას ციხეები პოლიტიკური დამნაშავეებითაა სავსე. ტუსაღები ბნელაში, ჭუჭყში სხედან. უფროსები ყოველნაირად აწამებენ; 500 კაცამდე უკვე გარდაიცვალა. დაპატიმრებული ხალხი მომეტებულ ნაწილად ლიბერალური დასის წევრები არიან. ტუსაღებმა საჩივარი მიართვეს შეერთებული შტატების პრეზიდენტს მაკ-კინლეის და დახმარება სთხოვეს».

გერმანია. «ძიანნიკ პოზნანსკი» არწმუნებს, იმპერატორმა ვილჰელმმა 500,000 მარკა შესწირა იმ გერმანელ საზოგადოებას, პოზნანში რომ პოლონელთ სკოლების გაგერმანელებას სცდილობსო.

✡ «კურიერ პოზნანსკი»-ს შეუტყვია: ამ მოკლე ხანში ქალ. ბუფალოს ამერიკაში მცხოვრებელი პოლონელები დიდ კრებას მოახდენენ და მოილაპარაკებენ—რა საშუალება და ღონისძიება მივიღოთ, რომ გერმანიის პოლონელებს დახმარება გაუწიოთ გერმანელების წინააღმდეგაო.

ავსტრ-უნგრეთი. მლადო ჩეხების გამგე კომიტეტს გადაუწყვეტია, რა წამს ჩვენი მეთაური გეროლდი პრაგაში მოვა, მაშინვე მოლაპარაკება უნდა გავმართოთ ჩეხების ყველა დასებთან, ეგები შევთანხმდეთ როგორმე, ყველამ ერთად ვიმოქმედოთ და ვეცადნეთ, ჩეხიის სახელმწიფო უფლება აღვადგინოთო.

ინგლისი. კუნძულ მალტაზე ამ მოკლე ხანში 25 კაცის საქმეს გაარჩევენ. ამ კაცებმა 11 აგვისტოს ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ მანიფესტაცია მოახდინეს. ბრალდებულებს განთქმული ადვოკატები იცავენ. რომ უწესოება არა მოხდეს რა, მთავრობამ პოლიცია მოუმატა.

✡ «დეილი ნიუსი»ს სწერენ რომიდან: იტალიის პარლამენტის ბევრმა წევრმა გარეშე საქმეთა მინისტრს მიჰმართა კერძოდ და სთხოვა: თუმცა ინგლისი იტალიის მეგობარია, მით მაინც არ შეგვიძლიან გულ-გრილად უცქიროთ, ჩემბერლენი რომ ასე აწუხებს მალტელებსაო, მით უმეტეს, რომ თვით ინგლისშიაც არ მოსწონთ ამ მინისტრისაგან შემოღებული ახალი წესებიო. ეს თხოვნა პარლამენტის შეკრების შემდეგ იქნება გარჩეულიო.

სამხრეთ-აფრიკა. ინგლისის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრს ლორდ ლონდონდერის ერთ კრებაზე ულაპარაკნია და უთქვამს: ჩვენ რომ ასე ხათრიანად, რბილად არ ვექცეოდეთ ბურებს,—ომი დიდი ხნის გათავებული იქნებოდაო. ბურების ქალებსა და ბავშვებს მეტად თავაზიანად ვექცევით, არაფერს არ ვაკლებთო, ბურებმა იციან, რომ იმათი ცოლშვილისათვის რიგზე ვზრუნავთ და ამიტომ არხეინად ომს განაგრძობენო.

დარბაისელს ლორდს, ეტყობა, დავიწყებია სამხედრო წესები; საგანგებო სამხედრო სასამართლოები, სამხედრო ბანაკები, ფერმების და ყანების გაჩხრება. ყველა ამას განა ხათრიანი და რბილი ქცევა ეთქმის. დღე და დღე ქვეყანას ამბავი მოდის სამხრეთ აფრიკიდან ინგლისელების უდიერობისა, გულქვაობისა და უკანონო ქცევის შესახებ. თუნდა აქედან მარტო მეათედი იყოს მართალი, მაინც ესეც დიდი სირცხვილია ისეთი განათლებული, თავისუფალი ერისათვის, როგორც ინგლისის ერია.

ლაც ლექსს გადასწერდა. მეექვსე კლასიანები წიგნში მოყვანილ კითხვებს, რომლებიც დროს შეეხებოდნენ, წერილობით უგებდნენ პასუხს რვეულებში. მეშვიდე კლასში თვითონ მასწავლებელი შვეიცარიის ისტორიის სურათებიდან (წიგნია) გაკვეთილს უხსნიდა: თითო მოსწავლეს რამდენსამე წინადადებას, წერტილიდამ წერტილამდის, წააკითხვინებდა და წაკითხულზე ხან კითხვებს აძლევდა მოსწავლეებს, ხან განმარტებას თვითვე აძლევდა

შემდეგი გაკვეთილი იყო გიმნასტიკა და, რადგან იგი მე მაგრე რიგად არ მეინტერესებოდა, თუმცა იგი აქ ისეთივე სავალდებულო საგანია, როგორც სხვა, მე გამოვეთხოვე მასწავლებელს და გავწიე მეორე კლასიან (Sekundârschule) სასწავლებელში, სადაც მიცდიდა მღვდელი, რომელიც როგორც ამ მეორე კლასიან სასწავლებლის წევრი აქ დარჩა, მასწავლებელმა მეტის მეტად ჯენტლმენურად და თავაზიანად მიმიღო. ენის გაკვეთილი თავდებოდა: მასწავლებელმა თითო წიგნი ჩვენც გადმოგვცა. ბარე ათამდის ქალებსა და ვაჟებს წააკითხვინა და ჩინებულადაც წაიკითხეს. მასწავლებელმა წაკითხული აუხსნა. შემდეგ ლექსები წააკითხვინა. ლექსის წასაკითხავად გახმობილ ბავშვს მასწავლებელმა წინ სკამი დაუდგა, გახმობილმა ხელები დააბჯინა (ორატორსავით) და პირით მოსწავლეებისაკენ (პუბლიკისაკენ) მიმართულმა წაიკითხა ლექსები. უკანასკნელი გაკვეთილი იყო წერა. დაფაზე უმარტავდა ამ გაკვეთილზე დასაწერ ასოების ელემენტთა შეთანხმებას. თითოეულთანაც მიდიოდა, უსინჯავდა, იქვე უსწორებდა, ნიმუშებს უწერდა. მთლად უფროსი, მესამე კლასი სტამბურ ასოებს „კისტით“ ჰხატავდა, წერდა. მეორე კლასიან (Sekundàrschule) სასწავლებელი ნამდვილ ქალაქურ სასწავლებელს წააგავს, როგორც კლასის შინაგანი მორთულობა მოწყობილებით, ისე თვით ბავშვების მეტი სისუფთავე-ზრდილობით. აქ არც ქალები და არც ვაჟები ფეხშიშველანი არ დაიარებიან. ამ სასწავლებელში ფრანგულსაც ასწავლიან და მსურველთ ინგლისურსა და იტალიურსა. პასუხის მიგების დროს მოსწავლენი ფეხზე წამოდგებიან. წასვლისას მოსწავლეებმა ხელი ჩამოართვეს მასწავლებელსა და ჩვენც. მასწავლებელმა, შეიტყო რა, რომ შორეული ქვეყნიდან, საქართველოდან ვიყავი, მიგვიპატიჟა ოთახში, „ერთი საათის მეოთხედს მაინც შემობრძანდითო“. უარის თქმა უზრდელობა იქნებოდა. გრაფინით ღვინო მოატანია, დავლიეთ, ერთმანეთს კეთილი ვუსურვეთ... ცოტა ხანსაც ვიმასლაათეთ, რადგან, ჩემდა სამხიარულოდ, ეს სასწავლებელი წმინდა ლიტერატურულ გერმანულზე ლაპარაკობდა ამიტომ მეც კარგად მესმოდა. მადლობა გარდავუხადე, გამოვეთხოვე და წამოვედი ისევ ს. უტიკონში.

Schanrengrabes Schulhaue ქ ციურიხში.

31 ივლისი (13 აგ.), ოთხშაბათი

ამ სათაურში მოყვანილ სახელ-წოდების პირველ დაწყებით სასწავლებელში შევედი 31 ივლისს, რვა საათის ნახევარზე, კანიკულების შემდეგ პირველ-სასწავლო დღეს. მივმართე ერთ-ერთ მასწავლებელს და ვთხოვე კლასებში შესვლისა და ყურების ნება მოეცა. დიდის სიამოვნებითაო, მხოლოდ ნება-რთვის მოწმობა ხომ არა გაქვთო. არა მეთქი. ამ და ამ ქუჩაზე,ამ №-ში აიღეთ ნება და მერე შემობრუნდითო, მაგრამ იქნება ვერც კი მიაგნოთო და ერთი მოწაფეთაგანიც გამაყოლა. შევედი სასწავლებელთა კანცელარიაში და ერთის წუთის განმავლობაში მომცეს Ledifimationskarte (ბილეთი), რომლითაც ნება დამერთო დამეთვალიერებინა ქ. ციურიხის ყველა სასწავლებლები როგორც გარეგან (შენობა), ისე შინაგანის სწავლების მხრივ... გამახსენდა ჩვენებური კანცელარია, სადაც მთელი საათი ატუზული უნდა იდგე და რიგს უყურებდე, ათასი საბუთის ქაღალდი წარადგინო, სადაც უნდა „ჩასწერონ“, „ამოსწერონ“, „დანომრონ“, «ბეჭედის დასმით შეამოწონ», მოწიწებით „უფროსს“ წარუდგინონ ხელის მოსაწერად და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, უნდა გადმოგცენ რაღაც ფარატინა, რომელზედაც, რაკი ამდენი შრომა, ჯაფა და ხარჯი გაქვს გაწეული, თამამად შეიძლება ითქვას: ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, დევნა მეტი იყოო.. . გამახსენდა, რომ დასავლეთს ევროპაში წამსვლელი ოჩამჩირე-სოხუმ-ქუთაისს შუა ერთ-ხანს დავრბოდი. ესენი და ბევრი სხვა რამ რომ გამახსენდა,—ამ წუთას ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე სასწავლებელში ვიყავი ..

ეს სასწავლებელიც Primarschule—ა, პირველ დაწყებითი სასწავლებელია იმავე რვა წლის კურსით. მხოლოდ აქ ქალები ცალკე ოთახშია, ვაჟები ცალკე ოთახში სწავლობენ და თითო მასწავლებელს თითო კლასი აბარია. კლასების კარებზედაც ასე აწერია, მაგალ: ვაჟების 4 კლასი, მასწავლებელი ეს და ეს. ქალების მეორე კლასი, მასწავლებელი ეს და ეს. რაკი რვა ცალ-ცალკე კლასი ქალებისა და ამდენივე ვაჟებისაა, რა თქმა უნდა, შენობაც შესაფერი უზარმაზარია, თითქოს რომელიმე საშუალო სასწავლებელი იყოს შიგ მოთავსებული. გასაკვირიც არ არის: შიგ ექვსასზე მეტი მოსწავლე სწავლობს.

თავდა-პირველად შევედი პირველ კლასში. დაფაზე ეწერა ანბანი (რეპეტ.): a, a, b, c, d, და სხ. მასწავლებელს ხელში ეჭირა მოგრძო ჩხირი, უთითებდა ამით

ახალი ამბავი

◆ ორშაბათს, 3 ენკენისთვეს, **ქალაქის საბჭოს სხდომას**, სხვათა შორის, წარედგინება შემდეგი საქმეები; 1) გუბერნატორის წინადადება საქალაქო არჩევნების შესახებ; 2) საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება ქალაქის მოადგილის არჩევნის გაუქმების შესახებ; 3) გამგეობის მოხსენება ქალაქის თავებისა და საბჭოს წარმომადგენლების საერთო კრების შესახებ; 4) დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა (№ 1); 5) გამგეობის მოხსენება ცეცხლის მქრობ რაზმისათვის ახალი სადგომის მოპოების შესახებ და სხვა.

◆ გუშინ, 31 აგვისტოს დაასაფლავეს ახლად გარდაცვალებული **გ. ნ. გემგსკი.** დასაფლავებას დაესწრნენ: მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულტან კრიმ-გირეი, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული მედვედიევი, სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ლოპატინსკი, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველი ბეკი, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების, საბრეშუმო სადგურის, რუსეთის ბაღოსნობის საზოგადოების განყოფილებისა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი და აგრეთვე დიდძალნი პატივის მცემელნი განსვენებულისა. კუბო შემკული იყო მრავალის გვირგვინებით, რომელთა შორის ჩვენ შევნიშნეთ გვირგვინები სამეურნეო საზოგადოებისა, ქართველ საზოგადოებისაგან, ტფილისის საბაღოსნო სკოლისაგან, საბრეშუმო სადგურისაგან, კავკასიის სამოსწავლო ოლქისაგან და სხვათაგან.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, საკრებულო ტაძარში დააფიცეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი **ს. ნ. დურთქიფანიძე.**

◆ ნ. ი. თამამშოვს თხოვნა მიუცია ტფილისის გუბერნატორისათვის ნება დართონ მას, გახსნას რკინის გზის სადგურთან **მუშათა ბინის განყოფილება.** განყოფილებასთან ერთად იქნება აგრეთვე ღამის თავშესაფარი უბინაო მუშებისათვის.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის კადეტთა კორპუსის ინსპექტორი პოლკოვნიკი სტრუსევიჩი გადაჰყავთ სიმბირსკის კადეტთა კორპუსის ინსპექტორად.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი **ბ-ნი ზავადსკი** რამდენიმე დღით ტფილისიდან ბორჯომში წავიდა.

◆ **საიუნკრო სასწავლებელში** წელს 675 ყმაწვილი იჭერდა ეგზამენს. მათგან ეგზამენი დაუჭერია 263, მიუღიათ კი მხოლოდ 83 კაცი.

◆ გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, გზათა-სამინისტრომ ყურადღება მიაქცია რკინის გზათა **მუშების საჩივრებს** იმის შესახებ, რომ მათ დიდი შევიწროება ადგებათ ხოლმე მოიჯარადრეებისაგან ახალ რკინის-გზის გაყვანისა ანუ გზის შეკეთების დროს. სამინისტროს განზრახვა აქვს გამოსძებნოს ისეთი საშუალებანი, რომ რიგიანი დამოკიდებულება ჰქონდეთ მოიჯარადრეებსა და მუშებს ერთმანეთში.

◆ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის საზოგადოებაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას **საქველმოქმედო საზოგადოება**, რომელმაც მატერიალური შემწეობა აღმოუჩინოს უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქალებს. საზოგადოების წესდების პროექტი უკვე წარედგინა უმაღლეს სამოსწავლო მთავრობას და, როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, პროექტი მალე იქნება დამტკიცებული.

◆ ფინანსთა სამინისტროში 1902 წლის დამდეგს მოხდება **საკომერციო განათლების მოღვაწეთა კრება**, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქნება საყურადღებო საკითხი ქალთა საკომერციო განათლების მოწესრიგების შესახებ.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ ბოლოს დროს ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეები გამოუცვლიათ და მათი ნახევარი რიცხვი სულ ახლები აუყვანიათ.

◆ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოს **ახალ პროკურორს** სტეფანოვს წარუდგნენ ტფილისის პოლიციის ბოქაულები და მოხელენი.

◆ სამხედრო უწყებას უთხოვნია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის, რომ დაარსებულ იქმნას **ნიხრი** მეეტლებისათვის ჯარების კაზარმებამდე.

◆ ამიერ კავკასიის რკინის-გზების მმართველობამ შეადგინა და სათანადო მთავრობას წარუდგინა **დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა** ამ წლის რკინის-გზის სამუშაოებისა. რკინის-გზა თხოულობს 3000 მანეთის კრედიტს.

◆ ტფილისის ერთ-ერთ მასწავლებელს თხოვნა შეუტანია კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველოში, რომ ნება მიეცეს მას გახსნას მიხეილის ქუჩაზე **საბავშვო ბაღი.**

◆ ტფილისის საქალაქო გამგეობის წევრმა მ. ს. შესტაკოვმა დაამთავრა მოხსენება **საქრაქტირო გადასახადის** გაწერის შესახებ მომავალი წლისათვის. პროექტით ტრაქტირებს უნდა გადახდეთ ისევ 60,000 მანეთი.

◆ საგუბერნიო მმართველობას თხოვნა მოსვლია ტფილისის მცხოვრებ გამრეკელისაგან, რომ ნება მიეცეს მას, გახსნას სურფ-კარაპეტის ხევში თიხის ჭურჭლის ქარხანა.

◆ ღ. საჩხერიდან შემდეგს ამბავს გვატყობინებენ: ამ რამდენიმე ხნის წინად რაჭაში ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დასცემიან იქაურს მცხოვრებელს გურგენიძეს, ქ გაცარცვის შემდეგ მოუკლავთ კიდეც; ამავე ბოროტ-მომქმედთ, როგორც გავიგეთ, გაუცარცვავთ ვიღაც ებრაელი. პოლიციას ეჭვი მიუტანია 5 კაცზე, რომელნიც კიდეც დაუპატიმრებია. აღნიშნულ პირთ 28 აგვისტოს ღამით ჯოხით გამოუჩხრიკ-გამოუნგრევიათ საჩხერის საპყრობილის კედელი და გაქცეულან. პოლიცია მეორე დღეს გაქცეულთ გამოსდევნებია, მაგრამ ჯერ მათის კვალისათვის ვერ მიუგნია: მხოლოდ ერთი გაქცეულთაგანი უკანვე დაბრუნებულა და განუცხადებია, წასვლა არ მინდოდაო და მხოლოდ ძალით წამიყვანესო. ამ საქმის გამოჩაფრებია საჩხერში მისული 20 აგვისტოს და შორაპნის მაზრის უფროსი. გაქცეულ ავაზაკების დასაჭერად ზომები მიღებულია.

◆ სამხედრო ინჟენერს კოზლოვსკის განუცხადებია ქალაქის გამგეობისათვის, რომ მან დროებით გაამაგრა ცაცაანთ აღმართი და რომ კაპიტალურ რემონტამდე შეიძლება მოძრაობის დაწყებაო. კოზლოვსკი სთხოვს დაინიშნოს სპეციალისტთა კომისია სამუშაოს შესამოწმებლად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობაში დღეიდან მუშაობა დაიწყება დილის 9 საათიდან და გაგრძელდება 3 საათამდის.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, 30 აგვისტოს, დუშეთის მაზრის მცხოვრებს, ქვრივს მარიამ ამირანაშვილს განუცხადებია, რომ სიღნაღის მაზრის სოფელ ველის ციხის მცხოვრებმა არტემ ხარატაშვილმა მოჰპარა ფულად 310 მან. და სხვა და სხვა ნივთები სულ 415 მან. და სადღაც დაიმალაო. პოლიციამ ეს საქმე აცნობა მეორე განყოფილების გამომძიებელს; ხარატაშვილის დასაჭერად პოლიციამ საშუალება იხმარა.

◆ 30 აგვისტოს, პოლიციის მე-6 ნაწილში, აბანოს ქუჩაზე ჩხუბის დროს გასან-უსკინი-ოღლი დანით ფეხში დაჰკრა ნაგი-ალი-ოღლიმ, რომელიც პოლიციამ ამ დანაშაულობისათვის დააპატიმრა; დაშავებულს სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინეს.

ქუთაისის ტელეფონები

ამას წინად გაზეთს „კავკაზში“ № 198 პატარა წერილი იყო დაბეჭდილი იმის შესახებ, რომ „ქუთაისის ქალაქის მმართველობა ითხოვს ქუთაისში ტელეფონების გამართვასაო; თითქმის ასამდის მსურველია ტელეფონი იქონიოსო და აქამდის ვერავინ ვერ მოახერხა ტელეფონების გამართვაო“.

სწორედ მოგახსენოთ, საკვირველია. ან აქამდის რატომ არავინ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. ჩვენ კარგად გვახსოვს, როდესაც ბ. სვიმონიშვილი ქუთაისის პოლიციმეისტერად იყო, რამდენჯერმე აღძრა ეს კითხვა და პირად მოლაპარაკებაც კი ჰქონდა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უფროსთან და, თუ არა ვსცდებით, მხოლოდ იმიტომ ვერა სრულდებოდა ეს საქმე, რომ ტელეფონის მსურველი 30 არ აღემატებოდა და ეს რიცხვი სრულებით საკმარისი არ არის იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც ტელეფონების გასამართავად არის საჭირო. როგორც გაზეთი „კავკაზი“ სწერდა: „ტელეფონის მსურველი ქუთაისში ასამდის არისო,“ ახლა კი სწორედ შეიძლება ამ საქმეს თამამად მოჰკიდონ ხელი და დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ზარალს არა ჰნახვენ მისი მოთავენი. დასამტკიცებლად ავიღოთ, მაგალითად, თუნდ ტფილისი. ასეთს დიდს ქალაქში, როგორც ტფილისია, ამ ცხრა-ათის წლის წინად რამდენიმე ტელეფონის აპპარატი ქალაქის მმართველობასა ჰქონდა და რამდენიმეც რკინის გზას. როდესაც მთავრობამ მოჰკიდა ხელი ტფილისში ტელეფონების გამართვას, მაშინ ძველი და ახალი ტელეფონის მსურველი ასამდის ვერც კი შეჰკრიბეს. თვით ცენტრალური სადგური აშენებული და გაკეთებული იყო მხოლოდ 300 აბონენტისათვის, მაგრამ ორ-სამს წელიწადზე უცბად მოემატნენ მსურველნი, ასე რომ სადგური ძლივს-ღა იტევდა მავთულებს. ძველი სადგური გადააკეთეს, ახალი მოწყობილების კომმუტატორები (მიულტიპლი) გამოიწერეს და ეხლა უკვე 800-ზე მეტი ტელეფონია ტფილისში და თანდათანაც ემატება. ტფილისი პირველი მაგალითი არ არის ასეთის წარმატებისა. სტატისტიკურის ცნობებიდან სჩანს, რომ ყველგან, სადაც კი ტელეფონების მართვა დაუწყიათ, პირველად ძალიან ცოტა მსურველნი ყოფილან და მხოლოდ შემდეგში მოჰმატებიან. ეჭვი არ არის, ქუთაისშიაც ასე იქმნება. შეიძლება ჯერ ასი ძლივს იყოს და მერე კი იქნება 300—400 მსურველიც აღმოჩნდეს, როდესაც თვალით დაინახავენ მის სარგებლობას. წარმოიდგინეთ სახლში უცბად ავად გახდა ვინმე... სანამ ექიმთან კაცს გააქცევთ, შეგიძლიანთ ტელეფონით დაუძახოთ ექიმს და სთხოვოთ, რაც შეიძლება, ჩქარა მოგეშველოთ. ან სახლის ძირის სართულს ცე…

ასოებზე და აკითხვინებდა თითო-თითოდ. შემდეგ ერთად. უხმოებს (თან ხმოვანებს) ძლივს გამოსთქვამდნენ (გჰ, ცჰ.) ასე შევბოდნენ სხვაგანაც. გაავლო დაფაზე ასე: ეს ერთი **შტრიხიო**, კიდევ გაავლო ასე: J, ესეც მეორე. შეაერთა ესენი, გამოვიდა ასო S, რომელიც მისცა საწერად რვეულში. აქედან მე მესამე კლასში წავედი, რადგან იქ იყო ენა (ენის გაკვეთილი). მივაკაკუნე კარებს, გამოვიდა მასწავლებელი, შემიწვია კლასში და მითხრა: კანიკულების შემდეგ პირველი დღე არისო. ჩვენში ერთი კვირა მაინც უნდა კანიკულების შემდეგ სწავლის წეს-რიგზე მოყვანას, აქ კი თითქმის იმ დღესვე მოიყვანეს სისტემაში სწავლების საქმე. საკვირველიც არ არის, ქალაქის და ისიც ციურიხის სკოლაა.

მასწავლებელი, რომელთანაც შევედი, პედაგოგიურ მოღვაწეობაში გაჭაღარავებული კაცია. რამდენიმე წუთის დაკვირვებაც საკმარისია შეატყოთ, რომ იგი მეტად დახელოვნებული და გამოცდილი პედაგოგია. ორმოცდა-ცხრა წელიწადი მასწავლებლობს *). ერთი წელიწადი-ლა უკლია, რომ სრული პენსია დაიმსახუროს. შვეიცარიაში **სრული** პენსია 50 წლის სამსახურისათვის ეძლევათ.

ბავშვებს უთხრა: გუშინ კვირა იყო, მომიყევით, რა ჰქენით, რა გააკეთეთო. რამდენიმეს ათქმევინა სტუმრად ვისთან, ან სასეირნოდ სად წასულიყვნენ, რომელი რკინის გზით სად ჩამოხდნენ და სხ. უკანასკნელი გაკვეთილი რომელი იყოო? ტ წაკითხვინა სტ. **მზე და ქარი.** წააკითხვინა თუ არა, წიგნები უცბად შეანახვინა. მერე გაიხმო დაფაზე ორ-ორი ბავშვი და ამ სტატიიდან უფრო ძნელ სიტყვებს აწერინებდა. ამ კლასში 50 მოსწავლეა. გაკვეთილის გამოსვლის შემდეგ მკითხა მასწავლებელმა: რას უფრო აკვირდებითო. საზოგადოდ ყველაფერს, უფრო კი სწავლების წესს მეთქი. ყოველ მასწავლებელს აქვს თავისი სუბიექტური გარდაცემის ნიჭი, თავისი საკუთარი შემოქმედებითი ძალა, მხოლოდ თავი და თავი ის არის ბავშვების ყურადღება მოინადიროსო. თუ რიგიანად მოსწავლეების ყურადღება მიიზიდა მასწავლებელმა, სხვა თითოეულს თავისებურად შეეძლება წარმართოსო. მართალიც არის... აქედგან, რადგან ამ დღეს ენის (=სამშობლო ენა) გაკვეთილების მოსმენა ვარჩიე და რადგან ეს გაკვეთილი ვაჟების კლასში არსად იყო, მე ქალების პირველ კლასში (განყ.) შევედი. აქ მასწავლებელიც ქალია.

დაფაზე არეულად ეწერა ანბანი. წააკითხვინა ჩხირ-დადებით ერთ ორს, შემდეგ ერთად ყველას. ეს ანბანი და მარცვლები რომ გაამეორებინა, მეორე ქაღალდის დაფა გამოიტანა, რომელზედაც ეწერა სიტყვები: mir, reín, rot, sein, hat, Kraxt, Kronz, Brot. წააკითხვინა ეს სიტყვები თავისის დახმარებით. გასაცოცხლებლად (ბავშვები სულ პატარები, ექვსის წლისანი არიან) ხელები გაანძრევ გამოანძრევინა, ტაშიც დააკვრევინა. წაკითხვის დროს ზოგიერთ დროს შეჩერდებოდა. კითხვა: რა იქნება წითელი? და მებრ. შემდეგ დაწერა დაფაზე e, e, e, გაიყვანა ორ-ორი ბავშვი (კლასში ორი დაფაა) და აწერინებს ამ ასოებს ერთს ერთ დაფაზე, მეორეს—მეორეზე. თვითონ კი ორ დაფაშუა ტრიალებდა და ხან ერთს უსწორებდა და ხან მეორესა. ამ გვარად ყველანი გაიყვანა და დააწერინა ეს ასოები. შემდეგ არეულად დაწერილ ასოებში ჩხირი დაადო სხვა და სხვა ასოს, მაგალ. g, e, l, d და ჰკითხა რა სიტყვა გამოვიდაო. მიუგეს—geld. კითხვა: რას აკეთებენ ოქროსას?.. ამნაირი ანბანის სწავლის ვარჯიშობით გამოვიდა ეს გაკვეთილიც. პირველად საწერ ასოებს სწავლობენ და წერას, შემდეგ სტამბურზე გადადიან. 11 საათზე გაუშვეს მოსწავლეები.

მეორე საათზე კვლავ დაიწყო მეცადინეობა. რაკი ენა ახლა არსად იყო, მე მეოთხე **კლასში** შევედი. აქ ხატვა ჰქონდათ. ნიმუში დაფაზე იყო დახატული. განმარტეს სიტყვით სხვა და სხვა ხაზები, დაურიგა მასწავლებელმა რვეულები და დააწყებინა ხატვა. მე აქ არ გავჩერდი და გვერდით **მეხუთეში** შევედი. აქ ჰქონდათ გეოგრაფია ციურიხის კანტონზე. ყმაწვილები გარშემოხვევიან მასწავლებელსა, ჩხირები უკავიათ და ეძებენ, რასაც მასწავლებელი კითხავს. ერთი დიდი ქარტაა კედელზე, მეორე რელიეფური კარტაა გადაკიდებული დაფაზედ. ერთს აძებნიებს ერთში, მეორეს—მეორეში. არ გაყვანილნი პასუხს იძლევიან მჯდომარენი, ხოლო ზოგიც, სურვილით, წამოდგება. კითხვები: რა სიმაღლეზეა ციურიხის ტბის ზედაპირი? რა სიმაღლეზეა ციურიხის ტბის ზედაპირიდან ამ და ამ მთის (ალპის) უმაღლესი მწვერვალი (უიტელბერგი)? როგორ უნდა წავიდეს კაცი ამ და ამ ადგილს? და სხვ. გასაკვირია, თუ რა დაწვრილებით ასწავლიან სამშობლო ქვეყნის ფეოგრაფიას.

ვ. ჯ—ა.

(შემდეგი იქნება)

---

*) ამ მასწავლებლის, ჰენრიხ ვეგმანის (Neinrich Wegmann) შედგენილია საკლასო საკითხავი წიგნი პირველ სამოსასწავლო წლებში სახმარებელი, სავალდებულო სახელმძღვანელო ციურიხის კანტონის ელემენტარ. სკოლებში.

ცხლი წაეკიდა. სანამ ცეცხლის მქრობ რაზმის მეთვალყურე ალს შეამჩნევდეს, შეიძლება ცეცხლი უფრო გაძლიერდეს და სახლს სულ მთლად მოედოს... აი ასეთს შემთხვევაში დიდს სამსახურს გაუწევს ტელეფონი, რომლის შემწეობითაც შეიძლება საჩქაროდ გამოიწვიონ ცეცხლის მქრობი რაზმი. ორთავე მოყვანილ შემთხვევაში დრო ნახევარზედ მეტად მოგებულია და თან შველაც მალე ესწრობა გაჭირვებულს. სახლში რომ ტელეფონი ექნება კაცს, რომ დრო გზას არ მოანდომოს, თუ რომელიმე დაწესებულებაში რაიმე პატარა საკითხი საქმე აქვს, შეუძლიან ტელეფონით დაელაპარაკოს და ყველაფერი დაწვრილებით გაიგოს. ნახევარი საათის განმავლობაში შეუძლიან 8—9 ადგილს დაელაპარაკოს ერთ ადგილიდან და ტყუილად გზისათვის დრო არ დაჰკარგოს. ვთქვათ, ან ქურდები შეცვივდნენ სადმე... სანამ ისინი სახლს აიკლებენ და ააქოთებენ, თუ სახლის პატრონი ყოჩაღად მოიქცა, ტელეფონის შემწეობით შეიძლება პოლიცია თავს დაახვიოს, და უბედურება აიცილოს თავიდან. ერთის სიტყვით, ყველა მაგალითები რომ ჩამოვთვალოთ, ძალიან ბევრი ადგილი დაგვჭირდება და რაც აქ მაგალითად მოვიყვანეთ, მგონი, ესეც სრულიად მკაფიოდ გვიხატავს იმას, თუ ტელეფონი რა საჭირო და გამოსადეგი მანქანაა არამც თუ მარტო სამსახურებში, ქარხნებში და სასტუმროებში, არამედ კერძო სახლებშიაც კი რომ იქონიონ, დიდს სარგებლობას გაუწევს ყველას.

როდესაც 70—90 ადგილას დაიდგამენ ტელეფონს და როდესაც სხვები ჰნახავენ, რა დიდად სასარგებლო მანქანაა ტელეფონი, მაშინ სხვებიც მოინდომებენ; ბევრთ თუნდ არც კი მოინდომონ, მხოლოდ ხშირად საქმე აქვთ იმ დაწესებულებასთან, სადაც ტელეფონიცა აქვთ, მაშინ იგინიც ძალაუნებურად დაიდგმენ ტელეფონს და ამ რიგად გამრავლდება მათი რიცხვი. აქედან ის დარწმუნებული დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ ვინც კი უნდა მოჰკიდოს ხელი ქუთაისში ტელეფონების გამართვას, იგი კი არ იზარალებს, არამედ უეჭველად მოიგებს, მით უფრო, რომ თუ ეხლა ასამდე მსურველია, ორის წლის უკან სამასიც იქნება. რომ ამ საქმის მოთავენი არ იზარალებენ, არამედ მოიგებენ, ვეცდებით ეს ჩვენ აქვე ციფრებით დავამტკიცოთ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრმა არ იცის ან აპპარატები რა ღირს, ან კომმუტატორები, ან საზოგადოდ რა ეღირება ტელეფონების გამართვა ან რა ეღირება მისი შენახვა, თორემ შეიძლება თვით ქუთაისშივე გამოჩენილიყო ფულიანი კაცი, ერთი თუ არა ორი სამი მაინც და იმათ ეკისრნათ ეს საქმე. თუ კი სხვები შორი მხრიდან მოსულნი სცდილობენ სადაც კი შეიძლება ერთი ორი გროშით ისარგებლონ, ჩვენ რათ უნდა ვიწვნეთ მხარ-თეძოზედ და რად უნდა შევსცქეროდეთ სხვების გამდიდრებას ჩვენის შემწეობითვე. ნუ თუ თვით ქუთათურები ვერ მოახერხებენ ამ საქმის გაძღოლას?!—წარსულს ზამთარს ბ. არზუმანოვმა მითხრა, რომ პეტერბურგში თხოვნა გავგზავნეო; მინდა ქუთაისში ტელეფონები გავმართოვო და ჯერაც პასუხი არა მოსულია-რაო. ძალიან შეიძლება უმაღლესი მთავრობა იცდის სანამ ამ საქმეს სხვებიც ითხოვენ, რომ კონკურენცია გამართონ და ვინც უკეთეს პირობებს წარადგენს, მას დართავენ ნებას ტელეფონების გამართვისას.

თუ კერძო პირი მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს ჯერ, რასაკვირველია, საჭიროა, რომ ჯერ ქალაქისაგან აიღოს ნება-რთვა და თავისი პირობები წარუდგინოს ქალაქის მმართველობას. პირობაში უნდა მოხსენებული იყოს რამდენს % ჰპირდება ქალაქს, ან რამდენს აპპარატს დაუდგამს ქალაქს უფასოდ და სხვა... საზოგადოდ, როგორც ყოველის კონცესსიონერისათვის არის საჭირო პირობები, აგრეთვე ამ შემთხვევაშიაც. მორიგების შემდეგ, ახლა მთავრობას წარუდგენენ დასამტკიცებლად.

მგონია, მეტი არ იქნება აქვე მოკლედ დაახლოვებითი ანგარიში მოვიყვანო იმისი, თუ რა ეღირება გამართვა და შენახვა ასი ტელეფონისა.

100 ტელეფონის აპპარატი (თითო 38—40) დაახლოვებით ეღირება 4000 მან ასი აპპარატისათვის ცენტრალური სადგურის კომმუტატორი 600 მ., ბრინჯაოს მავთული (ფუთი 21 მან., 1 ვერსტზე მიდის 28 გირვანქა)—1100 მ., ხუთ-საჟენიანი ბოძები (თითო 5—9 მ. ადგილზეა დამოკიდებული ფასი)—800 მანეთი, ბოძებისათვის მიწაში ჩასასმელი რკინები, რომ ბოძს ძირი არ დაულპეს და მალე გამოცვლა არ დასჭირდეს, 1000 მ., ბოძების მიწაში ჩასმა გამაგრება—1200 მან., ბოძებზე გარდიგარდმო გასაკეთებელი გრძელი რკინა, რომელზედაც უნდა გამაგრდეს თეთრი ჭიქები (изоляторы)—900 მ., ჭიქები (თითო 12 კაპ.)—360 მ., მოკლე რკინები ბოძებისათვის—450 მ., მავთულების გაბმა (მუშა ხელის ფასი ვერსტი 5 მ.)—350 მ., ზოგან ბოძი არ არის საჭირო მავთულების სიცოტავის გამო; ამიტომ კედელში აკეთებენ დიდს ლურსმებს ზოგი სწორია, ზოგი კაუჭიანი (штыри)—100 მ., გუტტაპერჩის სქელი მავთული (გირ. 1 მ. 55 კ.)—78 მ., ოთახის მავთთული (გ. 80 კ.)—40 მ., ცენტრალურ სადგომისათვის მრავალ-წვერიანი კაბელი (მავთულების ჯგუფი, წნური) საჟენი ჰღირს 1 მან. და 25 კაპ.—40 მან. ქუჩის კაბელი თუთია და ტყავ გადაკრული (საჟ. 4 მან.)—400 მან. თითო აპპარატის დასადგმელად მუშა ხელი 3 მან. 100 აპპარ.—300 მან. კერძო სახლის გადაკეთება ცენტრალურის ადგილისათვის, სადაც უნდა მოთავსდეს ერთ ოთახში კომმუტატორი, მეორეში კანცელარია, მესამეში იარაღისა და მასალის საწყობი იქნება და ერთი პატარაც მოსამსახურისათვის —500 მან ყველა ამ საქმეებისათვის გამძღოლს-ყურის-მგდებელს გასამრჯელო—1200 და მოულოდნელი წვრილი ხარჯი—1000 მან. ასე რომ მარტო გამართვას დასჭირდება სულ 13,518 მან. ეს ციფრა, როგორც ზევითაცა ვსთქვი, დაახლოვებითია და ძალიან ბევრია დამოკიდებული ქალაქის მდებარეობაზედ. დაახლოვებით კი 100 აბონენტის ხარჯი 14 ათას მანეთიდან 16—17 ათასამდის ადის ხოლმე, ჩვენ ყოველის შემთხვევისათვის ვიანგარიშოთ რომ ქუთაისში გამართვაზედ დაიხარჯება 15000 მან, ერთ ხანობლივ. ახლა მის წარმოებას წლიურად დასჭირდება: 3 მოხელე (ან კაცები ან ქალები)—900 მან. ერთი მექანიკობი მეთვალყურე — 500 მანეთი 1 ხელოსანი—240 მან. 1 მოსამსახურე სადგურისათვის—120 მ. კანცელარიის ხარჯი—200 მან., სახლის ქირა—450 მან., აპპარატისათვის ელემენტების ხარჯი—100 მან., მოულოდნელი ხარჯი—100 მან., და წელიწადში დაახლოვებით დაიხარჯება 2710 მან. ახლა, სანამ შემოსავალს ვიანგარიშებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ ქალაქს რამდენი უფასო აპპარატი ედგმება; წარმოვიდგინოთ, რომ უფასო აპპარატებს გარდა 100 ფასიანი აბონენტია და წლიურად იხდიან 75 მან. მაშასადამე შემოსავალი იქნება 7500 მან. აქედან გამოვრიცხოთ წლიური ხარჯი 2710 მან. და წლიურად წმიდა მოგება დარჩება არა ნაკლებ 4000 მან. პირველად დაწყებითი ხარჯი 15000 მან. დაიფარება 4—5 წლის განმავლობაში. ამ ხანში უეჭველია ტელეფონების რიცხვი უეჭველად იმატებს და იმდენად ხარჯი არ მოემატება რამდენადაც შემოსავალი იმატებს, იმიტომ რომ ბოძების გამოცვლა არ დასჭირდება, (შეიძლება 7—10 ბოძის გამოცვლა დასჭირდეთ რაიმე მიზეზებისა გამო) და არც მათი დამატება იქნება საჭირო, რადგან თითო ბოძზედ 30—50 ჭიქა ეტევა. საჭირო იქნება მხოლოდ აპპარატების ყიდვა, მავთულისა, ჭიქებისა და ცოტა რამ წვრილმანისა. მეოთხე მოხელეც უნდა მოემატოს, რადგან დილაობით ყოველთვის მუშაობა მეტია ხოლმე.

როგორც მკითხველი ჰხედავს, შემოსავალი ბევრით მეტია ხარჯზე და მაშასადამე დანახარჯი 4—5 წლის განმავლობაში განაღდდება. ამიტომ ვურჩევთ ამ საქმეს ნუღარ აგვიანებენ და ვისაც ჰსურს და შეუძლიან, ხელი მოჰკიდონ. თუ ერთს არ ძალ-უძს, ორმა ან სამმა ამხანაგობა შეადგინონ და ისე გაუძღვენ საქმეს, თორემ, როგორც ყველგან და ყველაფერში, აქაც სხვები იფარფაშებენ და ჩვენს ვენახში სხვები ხილს იხილავენ და ჩვენ კი შორიდან ხახა დაღებულები შევაჩერებთ თვალებს და გულში ხელს დავიკრავთ: რატომ მოგვდის ასეო, მაგრამ გვიანღა იქნება.

მ. აანქოშვილი

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

31 აგვისტო.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: 29 აგვისტოს, დილის თერთმეტ საათზე, ქალაქ დანციგიდან 58 მილის მანძილზე გემს „შტანდარტ“-ს მიეგება გემი „ჰოჰენცელერნ“-ი. როცა „შტანდატ“-ზე მოვიდნენ მორიგეები, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორთან არიან დანიშნულნი, მისი უდიდებულესობა პატარა გემით წაბრძანდა „ჰოჰენცელერნ“-ზე, აქ იმპერატორი ვილჰელმი მიეგება. ამავე დროს გემ „სვეტლან“ იდან მოვიდნენ გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, მინისტრები სასახლისა—ბარონ ფრედერიქსი, გარეშე საქმეთა—გრაფი ლამზდორფი, ობერ ჰოფ მარშალი გრაფი ეილენბურგი, იმპერიის კანცლერი გრაფი ბიულოვი, ზღვათა მინისტრი ტირპიში და მათ უდიდებულესობათა ამალა. საუზმის დროს „ჰოჰენცოლერნი“ დაიძრა დანციგისაკენ, სადაც რეიდზე ორ წყობად იდგა გერმანიის ესკადრა, ადმირალ კესტერის უფროსობით. ჯავშნიან გემზე “ვილჰელგრომსზე“ პირველი ესკადრის უფროსი პრინცი ჰენრიხ პრუსიელი იყო. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა გემები და „შტანდარტ“-ზე დაბრუნდა. ამის შემდეგ იმპერატორმა ვილჰელმმა და პრინცმა ჰენრიხმა ხელმწიფე იმპერატორი ინახულეს „შტანდარტ“-ზე. მას შემდეგ, როცა გერმანიის იმპერატორმა და პრინცმა ჰენრიხმა ხელმწიფე იმპერატორი ინახულეს, მისმა უდიდებულესობამ და გერმანიის იმპერატორმა დაათვალიერეს ესკადრის გემები. ამას შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი „შტანდარტზე“ დაბრუნდა, იმპერატორმა ვილჰელმა კი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე ინახულა „სვეტლანაზე“. იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე „სტანდარტზე“ გამართული იყო სადღესასწაულო სადილი; მიწვეულნი იყვნენ იმპერატორი ვილჰელმი, კანცლერი ბიულოვი, ობერ-ჰოფმარშალი ეილენბერგი, ზღვათა მინისტრი ტირპიში, უმთავრესი შტაბის უფროსი გრაფი შლიფენკი, ვიცე-ადმირალი ხოლმანი, გრაფი ვალდერზე, ფონ სენდენი, სვიტის გენერალი ფონ ლევენფელდი, ფლიგელი ადიუტანტი პრინცი შენდერგი, საპატიო მორიგენი გერმანელთა, ადმირალი ტომსონი, ფლიგელ-ადიუტანტი გრაფ პლატენ გოლერმუნდ, უგანათლებულესი თავადი ფიურსტენბერგი, აგრეთვე ადმირალნი ¢ გერმანიის გემების უფროსნი. სადილს დაესწრო დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძეც, მინისტრები საიმპერატორო სასახლისა. გარეშე საქმეთა და სახელმწიფო ამალა. საღამოს მთელი ესკადრა საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული.

გელა. როცა „შტანდარტი“ დაუპირდაპირდა „ჰოჰენცელერნს“, ორივე საიმპერატორო გემის მოსამსახურეებმა სალამი მისცეს ერთმანეთს. მემუსიკეთა გუნდმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი და „ურას“ ძახილმა შესძრა ყველაფერი იმ დროს. როდესაც თანამხლებელმა გემებმა სამეფო სალამის ნიშნად ზარბაზნები გაისროლეს. როდესაც იმპერატორის გემზე გრაფი პლატენი მოვიდა, ხელმწიფე იმპერატორი თავისს პატარა გემით წაბრძანდა გემ „ჰოჰენცოლერნ“-ზე; თან ახლდნენ ბარონ ფრედერიკსი, ვიცე ადმირალი ლომენი, ჰოფ-მარშალი ბენკენდორფი, თავადი ენგალიჩევი, ბრიტანელი კაპიტანი პაული, ლეიბ მედიკი გირში, გარეშე საქმეთა მინისტრი ლამზდორფი და კომერგერი სავინსკი. იმპერატორი ვილჰელმი ელოდა უავგუსტოეს სტუმარს თავის გემზე. მათი უდიდებულესობანი მეგობრულად მიესალმნენ ერთმანეთს და შემდეგ ერთმანეთს წარუდგინეს თავიანთი ამალა. იმპერატორებმა ჩაუარეს საპატიო დარაჯთ და მხურვალედ მიესალმნენ ამ დროს მიახლოვებულს დიდ მთავარს ალექსი ალექსანდრეს ძეს.

გელა. 29 აგვისტოს, 3 საათსა და 30 წ. «ჰოჰენცოლერნ» ი, რომელსაც თან მიჰყვებოდნენ «შტანდარტი», „სვეტლანა“ და „ვარიაგი“, გაემართა დანციგისაკენ. იმპერატორს ვილჰელმს ეცვა რუსის ადმირალის მუნდირი და უკან უნდა რუსის იმპერატორს, რომელსაც გერმანიის ადმირალის მუნდირი ეცვა.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: «29 აგვისტოს ინგლისელთ დანებდნენ პრეზიდენტ კრიუგერის შვილი კ. კრიუგერი და კაპიტანი ფენეირა».

ბრიუსსელი. გამოცხადდა ოფიციალური ტექსტი იმ წერილისა, რომელიც 28 აგვისტოს გაეგზავნა საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს ორანჟეს რესპუბლიკის წარმომადგენელთა ლეიდსის, ვესელსის, ვოლმარანის და ფიშერისაგან. დელეგატები კვლავ აცხადებენ სურვილს, რომ ყველა სადაო საქმე, ინგლისთან ომისაგან გამოწვეული, სამედიატორო სასამართლომ განიხილოსო.

პარიზი. სამხედრო მინისტრმა ანდრემ გამართა დღეს სადილი გენერალ სახაროვის და მისის მეუღლის პატივსაცემლათ. მიწვეულნი იყვნენ თავადი ურუსოვი, ვალდეკ-რუსსო, ქ-ნი დელკასე, გრაფინია მონტებელლო, გენერლები ფრორანტენი და განდეზიკი; პოლკოვნიკები—ლუკიანოვი, კარავაევი, ლაზარევი და სხვები.

რედაქტორი
ალ. ჭყონია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქალაქ ქუთაისში ისყიდება **ორი სახლი ეზოებით.** პირველ სახლს თავის ეზოთი აქვს დაახლოვებით 500 ოთხკუთხ საჟენამდე მიწა და იმყოფება თავადების ქუჩაზე (Княжеская улица) ქალების გიმნაზიის პირდაპირ და მეორე სახლს (რომელშიაც მოთავსებულია ოცხელის პანსიონი) თავის ეზოთი აქვს დაახლოვებით 500 ოთხ-კუთხ საჟენამდე და იმყოფება დადიანის ვიწრო ქუჩაზე (Дадіановскій переулокъ). ფასზე მოლაპარაკება შეიძლება მამულის პატრონთან, ტფილისში, სერგეევის ქუჩაზე, ჩითახოვის სახლში. (въ правленіи кавказскаго округа путей сообщенія). (3—1)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Августа 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა